ევროკავშირი
საქართველოსთვის

CSRDG

ნუკრიანი „ანდრონიკაანთ უბანი“

COMMUNITY DEVELOPMENT CENTRE

პროექტის მკვლევარი და ტექსტის ავტორი
თამარ სიხარულიძე

პროექტის კოორდინატორი
მაია ბიძინაშვილი

პროექტის კონსულტანტი და გამოცემის რედაქტორი
ანა მარგველაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება: მაგდა ცოცხალაშვილი

ფოტოები: ანა ფატლაძე, თამარ სიხარულიძე,
მათიას ლუტიგი, ანა მარგველაშვილი

© სათემო კავშირი ნუკრიანი, სათემო განვითარების ცენტრი, 2023

ეს პუბლიკაცია შექმნილია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „სათემო ორგანიზაცია ნუკრიანი“ და „სათემო განვითარების ცენტრი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

ისტორიული სოფელი, ნუკრიანი, ქალაქ სიღნაღის სამხრეთით მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე. ნუკრიანზე გადის სიღნაღთან დამაკავშირებელი გზა, რომელმაც განსაზღვრა კიდეც მისი განაშენიანების ხასიათი: მთელი სოფელი გზის ორივე მხარეს, სიგრძეზე ვითარდება. საისტორიო წყაროებში იგი ძირითადად XVIII საუკუნიდან მოიხსენიება. ნუკრიანი ცალკე სოფლადაა შეტანილი „ქართლ-კახეთის აღწერაში". ტოპონიმის განხილვისას ორი მოსაზრება გვხდება, ერთნი მიიჩნევენ რომ ნუკრიანს ფუძედ ცხოველის სახელი (შვლის ნუკრი) უნდა დასდებოდა, მეორენი – ადამიანის სახელს უკავშირებენ.

XIX საუკუნის I ნახევარში უნდა დაწყებულიყო ნუკრიანის „გაქალაქება" და მისი სიღნაღის გარეუბნად ქცევა, ეს სტატუსი სოფელს 1920-იან წლებამდე ჰქონდა.

„ანდრონიკაანთ უბანი" ნუკრიანის ერთ-ერთი ძველი ნაწილია, იგი წმინდა გიორგის ეკლესიის მიმდებარედ შემავალი გზით იწყება და თავისი განაშენიანებით, უბანში დღემდე შემორჩენილი განსხვავებული არქიტექტურის მქონე საცხოვრისებით იმთავითვე იქცევს მნახველის ყურადღებას. ქუჩიდან ქალაქ სიღნაღისა და ალაზნის ველის საუცხოო ხედი იშლება, აქედან ჩადიოდა სიღნაღთან დამაკავშირებელი მოკლე გზაც.



„ანდრონიკაანთ უბანი“ პირობითად აქ მაცხოვრებელი ანდრონიკაშვილების და მათ მიერ დაარსებული სკოლის გამო ეწოდება. ისტორიულად ანდრონიკაშვილებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ქიზიყის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, სამეფო კარის ერთგულებისთვის XVI საუკუნიდან ქიზიყის მოურავობა ებოძათ. უბატონო ქიზიყში ისინი მხოლოდ ადმინისტრაციულ თანამდებობებს იკავებდნენ ქალაქსა და მაზრაში. 1886 წელს სიღნაღის მომრიგებელ მოსამართლედ დაინიშნა **სიმონ თომას ძე ანდრონიკაშვილი** (1823-1902). უცნობია, როდიდან დასახლდა სიმონ ანდრონიკაშვილის ოჯახი ნუკრიანში, თუმცა საარქივო მონაცემებსა და საუბნო მეხსიერებაზე დაყრდნობით, XIX საუკუნის 80-იანი წლებში ოჯახი უკვე ნუკრიანში სახლობდა. ნუკრიანი იმ დროისთვის სიღნაღის გარეუბანი გახლდათ.

სიღნაღის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული ანდრონიკაშვილების ოჯახი; ოჯახის უფროსი ქალიშვილის, ნინოს შესახებ 1890 წლის „ივერია“ წერდა:

„ვინც ქართულის წარმოდგენების გამართვას თვალყურს ადევნებს სიღნაღში, შეამჩნევდა, რომ მთელ ჩვენ საზოგადოებაში მარტო ერთადერთი ადამიანია, რომელიც ამ საქმისთვის არავითარ შრომას არა ჰზოგავს. ეს ადამიანი გახლავთ კნ. ნინო სიმონის ასული ანდრონიკაშვილი. იმისი თაოსნობით იმართება ქართული წარმოდგენა „წერაკითვხის გამავრცელებელ“ საზოგადოების სასარგებლოდ...“

სიმონ ანდრონიკაშვილის ვაჟმა, **ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა** (1871-1923), გამორჩეული კვალი დატოვა საქართველოს უახლესს ისტორიაში. იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალი იყო. იუნკერთა ქართული სამხედრო სკოლის მასწავლებელი და შემდგომში ხელმძღვანელი. 1921 წლის ომის დროს სათავეში ედგა თბილისის დასაცავად კოჯორ-ტაბახმელას მონაკვეთს. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, გენერალი ანდრონიკაშვილი საქართველოში დარჩა და ჩაერთო დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი კომიტეტის საქმიანობაში, რომელიც საყოველთაო-სახალხო ეროვნულ ამბოხებას ამზადებდა. ამბოხება გასცეს. საბჭოთა რეჟიმმა ალექსანდრე ანდრონიკაშვილი და მისი თანამოაზრეები დააპატიმრა და 1923 წლის 21 მაისს ვაკის პარკის მიმდებარედ დახვრიტა კოტე აფხაზთან და სხვა თანამებრძოლებთან ერთად.

„ანდრონიკაანთ უბნის“ მიმდებარედ, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში არსებულ სასაფლაოზე ანდრონიკაშვილების ოჯახის ახალგაზრდა წევრის, **კატერინა სტრელბიცკაიას** (1893-1911) საფლავია, რო-



კატერინა სტრელბიცკაიას (1893-1911) საფლავის ქვის მონუმენტი

მელსაც სხვა საფლავებისგან განსახვავებული, მარმარილოს მონუმენტი ამშვენებს. კატერინა ბარბარე ანდრონიკაშვილის ქალიშვილი გახლდათ.

ბარბარე ანდრონიკაშვილი, დასთან, **ნინოსთან** ერთად პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, ცოლად გაჰყვა კავკასიის სამეფისნაცვლო სამმართველოს სამხედრო ადმინისტრაციის მოხელეს, გვარად სტრელბიცკის. მათ ქალიშვილი შეეძინათ, რომელიც ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ჭლექით დაავადდა. მართალია მამამ სამკურნალოდ იტალიაში წაიყვანა, მაგრამ კატია სტრელბიცკაიას გადარჩენა ვეღარ მოხერხდა. დედის უკანასკნელი სურვილით იგი საქართველოში გადმოასვენეს და წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს.

„ანდრონიკაანთ უბნის“ უხუცესები დღემდე იხსენებენ ნინა სიმონოვნას, რომელმაც ცხოვრების ბოლო წლები უკიდურეს გაჭირვებაში გალია. უბნელებს ანდრონიკაშვილების ხსოვნის სიმბოლოდ, ქუჩის ძველებური არქიტექტურის გარდა, საფლავის ქვის მარმარილოს ქანდაკება მიაჩნიათ, რომელიც მათთვის განსაკუთრებულ სახსოვარს წარმოადგენს. მარმარილოს მონუმენტი რამდენიმე წლის წინ მოიპარეს და სამეზობლოსა და სოფლის ძალისხმევით დაუბრუნდა ადგილს.

ქუჩის ფრაგმენტი, შუაში - ზინა ბეროშვილის სახლი

ამავე უბანში ცხოვრობდა აფთიაქარი, ქველმოქმედი **ლუკა ზაქარიას ძე მოსულიშვილი** (1836-1907). მან პირველმა დააარსა კახეთში კერძო სააფთიაქო ქსელი. სიღნაღის ცნობილმა, ე. წ. მოსულიშვილის აფთიაქმა 1921 წლამდე, საბჭოთა რუსულ ოკუპაციამდე იარსება. ნუკრიანის საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ლუკა მოსულიშვილის შვილები და როდესაც 1914 წელს, ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ნუკრიანში უფასო ბიბლიოთეკა გახსნა, მისი მართვის პასუხისმგებლობა ლუკას ერთ-ერთ ვაჟს, კონსტანტინე მოსულიშვილს ჩაბარდა. მეორე ვაჟი, ზაქა-

რია მოსულიშვილი ამავე საზოგადოების სიღნაღის განყოფილების დამფუძნებელი წევრი იყო, მამის გარდაცვალების შემდეგ აფთიაქის ხელმძღვანელობა ჩაიბარა. თავად აფთიაქარი ლუკა მოსულიშვილი ყაჩაღებმა 1907 წელს ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს და მოკლეს. ნუკრიანში დღემდე ახსოვთ კონსტანტინეს მეუღლე, ლოლე მოსულიშილი, რომელიც ანდრონიკაშვილების მიერ უბანში დაარსებული სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი გახლდათ.

დურმიშხან ნადირაშვილის სახლი

დღემდე შემორჩენილი მოსულიშვილების სახლის ნაწილში, რომელიც 1970-იან წლებში ხმალაძეების ოჯახმა იყიდა, დღეს მცირე საოჯახო სასტუმროა გამართული. სოფელში დღემდე ცხოვრობენ ლუკა მოსულიშვილის შთამომავლები და ინახავენ თავიანთი წინაპრების ხსოვნას.

უბანში ერთ-ერთი გამორჩეული სახლი **დურმიშხან ნადირაშვილს** ეკუთვნის, რომელიც მისმა წინაპარმა, **გიორგი დავითის ძე ნადირაშვილმა**, 1919 წელს შეიძინა მარიამ ივანეს ასულ ანდრონიკაშვილისგან. მარიამი, გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილის მეუღლე უნდა იყოს. გიორგი ნადირაშვილი შეძლებული გლეხი იყო,

რომელსაც 1920-იან წლებში ეკონომიკური სახის რეპრესიები შეეხო, კერძოდ საარჩევნოს ხმა ჩამოერთვა, მხოლოდ იმიტომ, რომ დაქირავებული დამხმარე ჰყავდა მეურნეობაში. 1919 წლის სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებას, როგორც ისტორიულ დოკუმენტსა და ოჯახის მეხსიერების წყაროს დღემდე ინახავენ ნადირაშვილების ოჯახში.

ნუკრიანის წმინდა გიორგის ეკლესია

„ანდრონიკაანთ უბნის“ ერთ-ერთი, 1881 წელს აშენებული სახლი XX საუკუნის დასაწყისში შეძლებულმა სიღნაღელმა ვაჭარმა **არტემ მოსაშვილმა** შეიძინა პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნებული ვაჟისთვის, ნიკოლოზ მოსაშვილისთვის, და თან სახლთან ერთად, ფაეტონიც დაახვედრა მას. გამორჩეული არქიტექტურის მქონე სახლი უნიკალური ძველებური ინტერიერით, ეპოქალური ავეჯით, დღემდე აღაფრთოვანებს მნახველს. „ანდრონიკაანთ უბნის“ ხევში, აგურიც უწარმოებიათ. პირველი ცნობები აქაური აგურის საწარმოს შესახებ 1904 წლით თარიღდება. მეაგურეობა აქ XIX საუკუნის მიწურულს **სტეფანე ნასყიდაშვილმა** დაიწყო, მამის ხელობა შემდეგ მისმა ვაჟმა,

ალექსანდრე ნასყიდაშვილმა (1900-1970) გააგრძელა. ნასყიდაშვილების სააგურემ 1970-იან წლებამდე იარსება. თიხისგან, რომელიც აქ მოიპოვება უმაღლესი ხარისხის აგური იწვება – ვარდისფრად შეფერილი, ამის მოწმეა ნუკრიანის წმინდა გიორგის ეკლესიის კედლები, რომელიც სწორედ სტეფანე ნასყიდაშვილის გამომწვარი აგურითაა ნაშენი.

დეკანოზ ვასილ ნათიძის (1864-1956) სახლი

წმინდა გიორგის ეკლესია 1900 წელს „ანდრონიკაანთ უბნის“ მაცხოვრებლების ინიციატივით აღდგა. ეკლესიაში შემორჩენილი წარწერის თანახმად, მშენებლობის ხელმძღვანელად ნოდარ ზაქარიას ძე ნადირაშვილი ყოფილა მიწვეული.

მშენებლობის თანხა უბნის შეძლებულმა მაცხოვრებლებმა, მათ შორის – აფთიაქარმა ლუკა მოსულიშვილმა და ვაჭარმა არტემ მოსაშვილმა გაიღეს და არც ფიზიკური ძალისხმევა დააკლეს სალოცავის აღდგენას, რომელსაც დეკანოზ ვასილ ნათიძის (1864-1956) მოღვაწეობა უკავშირდება.

კონსტანტინე ლუკას ძე მოსულიშვილი

გია მოსულიშვილის საოჯახო ალბომიდან

იოსებ ზაქარიას ძე კრაწაშვილი (1884-1939)

თინათინ კრაწაშვილის საოჯახო ალბომიდან

აფთიაქარი ლუკა მოსულიშვილი (1836-1907)

ირადი მოსულიშვილის საოჯახო ალბომიდან

გენერალი ალექსანდრე სიმონის-ძე ანდრონიკაშვილი (1871-1923)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის „ივერიელის“ ფოტოკოლექციიდან

ვასილ ნათიძე ამავე უბნის მკვიდრი გახლდათ. თბილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და მისი ინიციატივით და აქაური ანდრონიკაშვილების თანადგომით 1891 წელს ეკლესიასთან სამრევლო სკოლაც გახსნა, სადაც წერა-კითხვას, გალობას, საღმრთო სჯულსა და ხელსაქმეს ასწავლიდნენ.

მოაწყო საფუტკრეც სადაც ცაცხვის თაფლს აწარმოებდა და მსურველებს მეფუტკრეობის შესახებ უფასო რჩევა-დარიგებასაც აძლევდა. საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ ეკლესია დაიხურა და კოლმეურნეობის საწყობად გადაკეთდა, მამა ვასილს აუცილებელი საღვთისმსახურო წესების აღსრულება სახლში უწევდა, ნუკრიანში ახლაც ცხოვრობენ ვასილის მიერ, საკუთარ სახლში მონათლული ადამიანები. ნათიძეების სახლში კი დღესაც ინახება დეკანოზ ვასილ ნათიძის კუთვნილი საღვთისმსახურო ნივთები.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ნუკრიანში თავდაპირველად სამკითხველო დააარსა კონსტანტინე მოსულიშვილის პასუხისმგებლობით. სამკითხველოს მართვაში მას მიხეილ (სიმონს ძე) ანდრონიკაშვილი და იოსებ კრაწაშვილიც ეხმარებოდნენ. ბიბლიოთეკის ფონდი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარების გარდა, კერძო შემოწირულებებითაც ივსებოდა.

ნუკრიანის დაწყებითი სკოლა, ე.წ. „ანდრონიკაანთ“ სკოლა, რუსუდან ღვინიაშვილის საოჯახო ალბომიდან.

1915 წლის 9 იანვარს, ამავე საზოგადოებამ, წმინდა გიორგის ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს, ნუკრიანელი ანდრონიკაშვილების სახლში გახსნა სკოლა. ახლად გახსნილი სკოლის მასწავლებლებად ბოდბის სასწავლებლის კურსდამთავრებულები – ელენე ახმეტელაშვილი და თამარ ხელაშვილი დაინიშნენ.

1921 წელს სკოლა საბჭოთა ხელისუფლების ბალანსზე გადავიდა. არაერთმა ნუკრიანელმა მიიღო აქ პირველდაწყებითი განათლება. სკოლამ 1972 წლამდე იარსება, შემდეგ კი შენობაში საბავშვო ბაღი გაიხსნა. დღეს, ამ ისტორიულ შენობას თავდაპირველი სახე დაუკარგავს, აგურით ნაშენი ძველი კედლები ცემენტითაა შელესილი, ძველი დიდების კვალი მხოლოდ უზარმაზარ ცაცხვებიან ეზოს შემორჩენია. მოსახლეობაში კი დღემდე ცოცხლობს სახელი – „ანდრონიკაანთ სკოლა“.

მჭედელ ანდრო ხმალაძის საცხოვრისი, დღევანდელი „ლურჯი ბანი“

1878 წელს აშენებული სახლი „ანდრონიკაანთ“ უბნიდან

სწორედ სკოლის და სასაფლაოს მარმარილოს ქანდაკების არსებობამ შემოინახა ადგილობრივთა მეხსიერებაში ანდრონიკაშვილების ხსოვნა. კონკრეტული პირები, მაგალითად, ოჯახის ბოლო წევრი – ნინო (ნინა) სიმონის ასული ანდრონიკაშვილი მხოლოდ 80 წელს მიღწეულ ადამიანებს ახსოვთ.

უბნაში ცხოვრობდნენ **ხმალაძეების** გვარის ცნობილი ხელოსნებიც: ანდრო და სოლომონი მჭედლები იყვნენ, ილო კი – დურგალი. ხმალაძეები მთელს ქიზიყში სახელგანთქმული ოსტატები ყოფილან და ურმის თვლებისა თუ კარ-ფანჯრის შესაძენად აქ შორი გზიდან მოდიოდა მუშტარი. სახლი, სადაც მჭედელი **ანდრო ხმალაძე** ცხოვრობდა „ანდრონიკაანთ უბანში“, გზის პირას მდებარეობს. ორსართულიანი სახლი, XIX საუკუნის კახური ტრადიციული საცხოვრისის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. იგი ანდრო ხმალაძეს 1954 წელს, ვინმე – ეკატერინე იგორის ასული ნადირაშვილისგან შეუძენია. ვინ იყო აღნიშნული ქალბატონი ჯერჯერობით უცნობია, გაყიდვისას სახლი უკვე ნახევრად გაძარცვული ყოფილა, მიტოვებული. ანდრო ხმალაძემ განაახლა მარანი, სართულ შუა გადახურვა და იქვე სამჭედ-

ლოც მოაწყო. მჭედლობა სიღნაღში ისწავლა, ძველი ოსტატებისგან. რამდენიმე წლის წინ სახლი ახალი მფლობელების ხელში გადავიდა, ჩაუტარდა რესტავრაცია, რა დროსაც შეძლებისდაგვარად აღდგა სახლის ავთენტური იერსახე და ასე გაჩნდა „ლუჯი ბანი“ „ანდრონიკაანთ უბანში“, რომელიც ქიზიყის ეთნო-კულტურის გაცნობის ადგილად იქცა.

1878 წელს აშენებული სახლი, „ანდრონიკაანთ უბნის“ გამორჩეული ნაგებობაა. წაგრძელებული ფორმის შენობა ორი იდენტური ნაწილისგან შედგება. საუბნო მეხსიერების მიხედვით სახლი ორ ძმას, შეძლებულ ვაჭრებს აუშენებიათ. მათი გვარი საუბნო მეხსიერებამ არ შემოინახა. XX საუკუნის 20-იანი წლებში სახლი ორ ნაწილად გაიყიდა. ერთი ნაწილი **ნიკოლოზ ოტიაშვილმა** შეიძინა, მეორე – **ნიკოლოზ დონჯაშვილმა**. ნიკოლოზ დონჯაშვილმა შეძენილი სახლის ნაწილი ორად გაყო და ერთი, თავის უმცროს ძმას, ვასილს დაუთმო. **ვასილ დონჯაშვილი** აქაური სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი გახლდათ. საბჭოთა პერიოდში სახლის მეპატრონეებს, ე.წ. „თვითშემჭიდროების“ გამო უსახლკაროების შემოსახლებაც მოუწიათ. სახლის სარდაფის კედლებზე ამოკაწრული სახელები და გვარები აქ მაცხოვრებლების სიმრავლეზე მიუთითებს. 1963 წელს ოტიაშვილებმა სახლის საკუთარი ნაწილი გაყიდეს და ახალი მფლობელები ჭანიშვილები გახდნენ. ჭანიშვილებისა და ნიკოლოზ დონჯაშვილის შთამომავლები დღემდე ამ სახლში ცხოვრობენ.

დღეს უბნის მაცხოვრებლების უმრავლესობა, საოჯახო სასტუმროების და ტრადიციული ღვინის მარნების მოწყობის პროცესშია. გვაქვს არქიტექტურის რეაბილიტაციის კარგი მაგალითიც „ლურჯის ბანის“ სახით.

„ანდრონიკაანთ უბნის“ კულტურული მემკვიდრეობა, ისტორია, ადგილმდებარეობა განვითარების კარგ შესაძლებლობას იძლევა, რომელსაც შუძლია, როგორც აქაური მაცხოვრებლების ისე მთლიანი სოფლის კულტურულ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.



„ანდრონიკაანთ უბნის“ ისტორიის კვლევა
ჯერ კიდევ გრძელდება.

თუკი ამ უბანთან დაკავშირებით თქვენი მოგონებებისა
და ცოდნის გაზიარება მოგინდებათ, დაგვიკავშირდით:

მაია ბიძინაშვილი
სათემო კავშირი ნუკრიანი, 577 20 21 11

თამარ სიხარულძე
სათემო განვითარების ცენტრი, 593 97 93 04

ნუკრიანი, „ანდრონიკაანთ უბანი“,
ზინა ბერიშვილის საოჯახო სასტუმროს მარანი